PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''მებაღეობა'' განხორციელების ადგილის / ფართის ცვლილების შესახებ

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ქეთევან ანთაძე |
| **წევრები:** |
| ნინო ხარხელაური |
| ინგა ბოჭოიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ანთაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ ნ. ხ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე:</u>***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☒ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 07 ოქტომბრის № 1051509 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის - „მებაღეობა“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ზ.ზ" და "ზ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, 2021 წლის 25 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წინასწარ გადმოგზავნილი მასალები და შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან გასაუბრება. ასევე, დაწესებულების მიერ ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და დაწესებულების სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერება.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავს ბსუ-ს მე-6 კორპუსში, რომელიც განთავსებულია ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15. კორპუსი ახალია და განსაზღვრულია მხოლოდ პროფესიული პროგრამებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების შესაბამისად, რომლის მუხლი 87. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები“, განსაზღვრავს პირობებს ავტორიზაციის პერიოდში ფართის დამატებასთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის მომენტისთვის არ იყო განხორციელებული. შესაბამისად, ავტორიზაციის პირობების დაცვით ფართის დამატების შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით, რომ მე-6 კორპუსში არ იგეგმება აკადემიური პროგრამების განხორციელება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებით, არ შეიქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი.

აკადემიური პერსონალის აკადემიურ და პროფესიული პროგრამებში დატვირთვის საკითხები რეგულირდება საუნივერსიტეტო დონეზე და კონტროლდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემები, რომლებიც წარმოადგინა დაწესებულებამ, რის საფუძველზეც არ დასტურდება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

**აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები (*5.2.3 – 1 5.2.3 – 3 5.2.3 – 4 5.2.3 – 5 5.2.3. – 6)* , ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც ‘’არ შეესაბამება’’. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მხრიდან არ იყო გათვალისწინებული გარკვეული საკითხები და ეს საკითხები ასევე არ იყო ასახული, შესაბამისობის გეგმაში.**

**აღნიშნული ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებამ მოახდინა არასრული შესაბამისობის იდენტიფიცირება, შეიმუშავა და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №01-10/100 ბრძანებით დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ასახა აღნიშნული ინდიკატორების შესაბამისობის ვადები, რომელიც მოიცავს 2021 წლის 6 დეკემბრიდან 2022 წლის 6 ივნისამდე პერიოდს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორები ფასდება, როგორც ''მეტწილ შესაბამისად'', რომლის ფარგლებშიც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს არსებული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2022 წლის 6 ივნისამდე.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში არ დაეთანხმა 5.2.1-3 ინდიკატორთან მიმართებაში არსებულ ექსპერტთა პოზიციას, რასთან დაკავშირებითაც დაასაბუთა თავისი პოზიცია. ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული პოზიცია და მასალები, რის შედეგადაც, დასკვნის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა როგორც ''შეესაბამება''. ხოლო ექსპერტთა მიერ, ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ერთიანი რეგულაციის შემუშავების, რომელშიც უფრო დეტალურად გაწერს, კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვასთან (გასაჯაროება, წარდგენა, შენახვა და სხვა) დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, პროფესიული სტუდენტის და პერსონალის თანხმობის აღნიშნულ საკითხებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული დოკუმენტაციის სრული ანალიზი და დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | მეტწილად შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | მეტწილად შეესაბამება |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ გამოვლენილა*

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*არ ფიქსირდება*

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

*არ ფიქსირდება*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*მე-5 სტანდარტის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა შემდეგი სახის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას ასახული აქვს შესაბამისობის გეგმაში:*

*ინდიკატორი 5.1.2 -3*

დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის უზრუნველსაყოფი გეგმის გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან ''**მეტწილი შესაბამისობა**'' და აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში კი, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების შესრულება, გეგმით დადგენილ ვადებში, 2021 წლის ბოლომდე.

*ინდიკატორი 5.1.2 -4*

დაწესებულების შენობაში უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმის გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან ''**მეტწილი შესაბამისობა**''. ინდიკატორის ფარგლებში კი, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების შესრულება, გეგმით დადგენილ ვადებში, 2021 წლის ბოლომდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

*ინდიკატორი 5.2.3 – 1 5.2.3 – 3 5.2.3. - 6*

გამომდინარე იქედან, რომ ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სხვადასხვა სახის განახლებული ინფორმაცია (სამუშაო აღწერილობები და კატალოგი), ასევე განთავსებული ინფორმაცია არ იყო ლოგიკურად დალაგებული და შესაბამისად დაინტერესებული მხარეებისთვის რთული ხდება საჭირო სახის ინფორმაციის მიღება, აღნიშნული ინდიკატორები, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა, როგორც ‘‘არ შეესაბამება’’. თუმცა, აღსანიშნავია რომ, არგუმენტირებულ პოზიციაში, ვებ-გვერდზე ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრის, განთავსებული ინფორმაციის განახლებისა და აღნიშნული ინდიკატორების ავტორიზაციის სტანდარტთან მოყვანის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №01-10/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორები, ექსპერტთა მიერ, დასკვნის ფარგლებში ფასდება, როგორც ‘‘მეტწილ შესაბამისად’’, ხოლო ინდიკატორების ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება, რაც გულისხმობს არსებული პრობლემური საკითხების აღმოფხვრას 2021 წლის 06 დეკემბრიდან - 2022 წლის 6 ივნისამდე ვადებში.

*ინდიკატორი 5.2.3 – 4; 5.2.3 - 5*

აღნიშნული ინდიკატორები, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც ‘‘არ შეესაბამება’’, გამომდინარე იქედან რომ ვიზიტის დროს, არ იყო წარმოუდგენილი განახლებული კატალოგი არც ვებ-გვერდზე და არც ბეჭდური სახით. ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგები თარიღდებოდა 2019 და 2020 წლებით, რომლებშიც არ იყო განახლებული ინფორმაცია. შესაბამისად, არსებული ინფორმაციის თანახმად, ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგები ვერ ჩაითვალა დაინტერესებული პირებისთვის, პსდ-ს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ ინფორმირების საშუალებად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

თუმცა, აღსანიშნავია, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა პოზიციას და წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №01-10/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა.

გამომდინარე აქედან, როგორც დაწესებულების ვებ-გვერდზე, ისე მატერიალურად კატალოგების განახლების მიზნით, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორები დასკვნის ფარგლებში, ფასდება როგორც ''**მეტწილ შესაბამისად**'', ხოლო ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული აქტივობების შესრულება **2021 წლის 06 დეკემბრიდან - 2022 წლის 6 ივნისამდე,** გეგმით დადგენილი ვადების ფარგლებში.

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესებსა და მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა სახის რეგულაციებსა და დოკუმენტაციებში, რომლებიც ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზეც, გარდა სტუდენტის მითითებისა დაემატოს ''პროფესიული სტუდენტი''-ს დასახელებაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

*ინდიკატორი 5.1.1 2*

ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთგვარი რეგულაციებით. განსაზღვრულია რესურსებით სარგებლობის პირობები და ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პერიოდები. თუმცა ამასთან დაკავშირებით, რეგულაციით არ არის განსაზღვრული ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები. შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს ცალკეული სახის რეგულაციის შემუშავება, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა რეგულაციებში არსებული საკითხების თავმოყრა, დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომობის შესახებ და რეგულაციის ფარგლებში ასევე გაწეროს ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.

*ინდიკატორი 5.1.1-3*

მიმდინარე ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა დამატებით გაწეროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველის კონტროლის მექანიზმები. ასევე პერიოდულად უზრუნველყოს შენობაში ნესტისგან/სარემონტო სამუშაოებისგან გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

*ინდიკატორი 5.1.1-7*

ამ ინდიკატორის ფარგლებში უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შეფასებას და განვითარებას, თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობა, ფუნქციები, რესურსების შეფასების ნაწილში, სრულად და მკაფიოდ გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში.

*ინდიკატორი 5.1.2-1*

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაგრამ ამასთანავე ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია დაცვისა და უსაფრთოხების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაწეროს სამუშაო აღწერილობები, ხოლო დაცვის თანამშრომლების მორიგეობის განრიგის დოკუმენტში მითითებული იქნას ასევე ობიექტის მისამართი.

*ინდიკატორი 5.1.2-2*

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით და ვიზუალური დათვალიერების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ამასთანავე ექსპერტების მოსაზრებით, გამომდინარე იქედან რომ ინსტრუქციაში გაწერილია ექიმი-თერაპევტის ფუნქციები, ხოლო დაწესებულებას ასევე დამატებით ჰყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად რეკომენდირებულია გარდა ექიმი-თერაპევტის ფუნქციებისა, პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვისაც გაიწეროს სამუშაო აღწერილობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

*ინდიკატორი 5.2.1-3*

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სხვადასხვა დოკუმენტაციაში არსებული პუნქტებით, არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისად იგი რეგულირდება სხვადასხვა აქტებით. თუმცა ექსპერტთა მიერ, ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, ერთიანი რეგულაციის შემუშავების, რომელშიც უფრო დეტალურად გაწერს, კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვასთან (გასაჯაროება, წარდგენა, შენახვა და სხვა) დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, პროფესიული სტუდენტის და პერსონალის თანხმობის აღნიშნულ საკითხებზე.

*ინდიკატორი 5.2.1-4*

აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია, თუმცა ამასთანავე ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა ახლა მოქმედ პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში მოხსენიებული ზოგადი ფუნქციებისა, რომლებიც აკისრია ხარისხის თანამშრომლებს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის კუთხით, მკაფიოდ გაწეროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

*სტანდარტი 2*

*ინდიკატორი 2.4.1 – 1*

პროგრამის ''მებაღეობა'' ფარგლებში დაწესებულების მიერ პროგრამის სასწავლო გეგმა აწყობილია დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, თუმცა გასათვალიწინებელია სეზონური ფაქტორი მოდულების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა მოახდინონ მოდულების განხორცილების თანმიმდევრობის დაცვა სეზონურობის გათვალისწინებით.

*ინდიკატორი 2.4.2 – 1*

განხილული ინფორმაციიდან გამომდინარე, ექსპერტთა აზრით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; თუმცა დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ არის დაზუსტებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია და ვერიფიკაციის მექანიზმში წარმოდგენილი რიგი პუნქტები საჭიროებს დაზუსტებას/დამატებას. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების დაზუსტება რეგულაციის ფარგლებში.

დაწესებულებას არ აქვს დადგენილი ვადები თუ როდის ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს, არ იკვეთება ინფორმაცია, არის თუ არა მისი განხორციელება დაგეგმილი პროგრამის დასრულების შემდგომ თუ სხვა ეტაპზე. ასევე, მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის სხვადასხვა პუნქტებში არასწორად არის აღნიშნული ტერმინი „ვერიფიკაცია“, მაშინ როდესაც ნაგულისხმევია „ვალიდაცია“. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს აღნიშნული უზუსტობის გამოსწორება. გარდა ამისა, რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტის ინფორმაციის შეფასების თაობაზე მიეწოდების საკითხი, რომლის საფუძველზეც იგი შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

შესახებ ინფორმაციას იღებს მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას თუ საიდან იწყება ამ ვადის ათვლა. რეგულაციის ფარგლებში არ იკვეთება სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას.

მარეგულირებელ წესში, აპელაციასთან და განმეორებითი შეფასების დანიშვნასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასების შედეგები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე. თუმცა, ამ მუხლის ფარგლებში, არ არის აღნიშნული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში ან რატომ არ განიხილავს კომისია შეფასების საკითხს, რაც ასევე რეკომენდირებულია რომ დაზუსტდეს და გაიწეროს რეგულაციით.

*ინდიკატორი 2.4.2 -2*

პროგრამა ‘’მებაღეობა’’ სრულდება 2022 წელს, შესაძლებელია ვერიფიკაცია განხორციელდეს პროგრამის დასრულების შემდგომ, თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული არ არის ვერიფიკაციის ჩატარების ვადები. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის მექანიზმში დაზუსტებასთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

# XI. სტანდარტების შეფასება

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწ ინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მოსარგებლის არსებობის ვადით. უძრავი ქონების მფლობელობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის, ქ. ბათუმში ლეონიძის ქუჩა #15-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე განთავსებული შემდეგი შენობა-ნაგებობით მოსარგებლე: N1(სტუდენტური საცხოვრებელი) საერთო ფართით -3157,6კვ.მ.; N2(დამხმარე) საერთო ფართით -49,4კვ.მ.; N3(სასწავლო კორპუსი) საერთო ფართით -3037,54კვ.მ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2018 წლის 07 ნოემბრის სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, ობიექტზე მიმდინარე მშენებლობის დასრულების შემდგომ 2019-2020 სასწავლო წლიდან, ''სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" ქ.ბათუმში, ლეონიძის ქ.15-ში არსებულ სასწავლო კორპუსში განთავსების თაობაზე''.

ასევე წარმოდგენილია შენობის შიდა აზომვითი ნახაზი და ფორმა სხვადასხვა სივრცეების ფლობის შესახებ, რომელთა განხილვისა და ასევე დათვალიერების შედეგად ვლინდება, რომ, დაწესებულების შენობა მოიცავს: ფოიეს, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სხვადასხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე, თეორიული სწავლების (A გარემო) და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ (B გარემო) აუდიტორიებს, სამუშაო სივრცეს ადმინისტრაციული პერსონალისათვის, სამუშაო სივრცეს პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც წარმოდგენილია ერთ სივრცეში და ასევე გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძებს, ბიბლიოთეკას, დარგობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სპეციფიკის შესაბამის კაბინეტებსა და სივრცეს არქივისთვის. უნდა აღინიშნოს რომ ეს არის სივრცე დროებითი შესანახი სივრცე არქივისთვის, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდგომ გადადის და ინახება უნივერსიტეტის ძირითად კორპუსში.

გარდა არსებული შენობა-ნაგებობისა დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს სხვადასხვა სახის ძირითადი აღჭურვილობა. მოძრავი ქონებისა და სასწავლო რესურსის ფლობის დასადასტურებლად წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. მათ შორის: სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებები სასწავლო რესურსის, ავეჯის, სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

ამ ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებამ წარმოადგინა ''ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი'' და ''ბიბლიოთეკის დებულება''. ასევე წარმოდგენილ იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

აღნიშნულის ფარგლებში დაწესებულების მიერ არ იყოს გადმოგზავნილი ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი და უნივერსიტეტის წესდება, რომელთა ფარგლებშიც ასევე რეგულირდება დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის. მათი მოძიება მოხდა დასკვნის პროექტის შემუშავების ეტაპზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ამ ინდიკატორთან დაკავშირებით, 2020 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით №01-02/121 დამტკიცებულ **სტუდენტთა ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტში** და ასევე 2019 წლის 08 თებერვლის ბრძანების № 01-02/11 ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ**'' აღნიშნულია შემდეგი : სტუდენტს უფლება აქვს, ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით; ხელშეკრულებით განსაზღვრული მე-2 მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით, სტუდენტი ასევე ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა.

2016 წლის 25 თებერვლის ბრძანებით №01-11/16 ''**ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესახებ**'', აღნიშნულია, რომ ბსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები და ელექტრონული ბიბლიოთეკა, რითი სარგებლობის უფლებაც აქვს დაწესებულების პერსონალს, სტუდენტსა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მქონე პირს.

დაწესებულებას გააჩნია სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო/სასწავლო რესურსები და საშუალებები და სტუდენტებს აძლევს ამ რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის ფაგლებში, ასევე შემუშავებულია სასწავლო და ტექნიკური საშუალებებითა და რესურსებით სარგებლობისთვის საჭირო პროცედურები, რომლითაც დადგენილია რესურსების ხელმისაწვდომობა და ამ რესურსებით სარგებლობის შემთხვევაში პირობები, სხვადასხვა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მოვლა-პატრონობას, კომპიუტერული ტექნიკითა და სასაწავლო რესურსებით სარგებლობის პირობებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია საბიბლიოთეკო დოკუმენტების გატანა-დაბრუნების პროცედურები, ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისას მომხმარებლის უფლება-მოვალეობები და მათი პასუხისმგებლობები.

გარდა ამისა, დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია **ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი**, რომლის მე-12 თავის ფარგლებში რეგულირდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის პირობები და განსაზღვრულია ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პერიოდები (დრო). გზამკვლევის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტსა და პერსონალს, სასწავლო-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკით, როგორებიცაა კომპიუტერები, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები და განთავსებულია დაწესებულების კომპიუტერულ აუდიტორიებში, სამუშაო ოთახებში, დერეფნებსა და ბიბლიოთეკაში.

ასევე, 2007 წლის 14 ნოემბრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №1106 ფარგლებში, ‘’საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო **უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების** შესახებ (5.04.2012 N 76/ნ)’’, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_749_1.pdf 66-ე მუხლის დ) ქვეპუნქტში აღნიშნულია პროფესიული სტუდენტის ერთ-ერთი უფლება, ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით; ხოლო 69-ე მუხლის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის სასწავლო ფართითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა. მუხლის ფარგლებში, აღნიშნულია რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სასწავლო ფართი, რომელსაც ადმინისტრაცია ანაწილებს რაციონალურად და ადმინისტრაცია ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას სტუდენტებს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.

გამომდინარე აქედან, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის დაწესებულების სასწავლო ფართი და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთგვარი რეგულაციებით. განსაზღვრულია რესურსებით სარგებლობის პირობები და ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პერიოდები (დრო). თუმცა ამასთან დაკავშირებით, რეგულაციით არ არის განსაზღვრული ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.

ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია უზრუნველყოს ცალკეული სახის რეგულაციის შემუშავება, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა რეგულაციებში არსებული საკითხების თავმოყრა, დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომობის შესახებ და რეგულაციის ფარგლებში ასევე გაწეროს ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

დაწესებულებას ჰყავს დასუფთავების განყოფილების უფროსი, რაც დასტურდება 2017 წლის 1-ლი ნოემბრის ბრძანებით **# 02-05/139**: "მ. ი.-ს ვადიანი ხელშეკრულების მოშლისა და ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტიის დასუფთავების განყოფილების უფროსად დანიშვნის შესახებ''. ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, ბსუ-ში გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელთანაც 2021 წლის 23 თებერვალს გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება # 02-10/07, ხოლო ვადის გასვლის შემდგომ, 2021 წლის 30 სექტემბერიდან დაიდო ახალი შეთანხმება, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში, დამლაგებლის ფუნქციის შემსრულებელ [redacted] ხელშეკრულება გაუხანგრძლივდა 2021 წლის ბოლომდე.

ხელშეკრულებაში გარკვეულწილად არის გადმოცემული დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, თუმცა, უმჯობესშია რომ მასში დამატებით გაიწეროს გასატარებელი ქმედებები სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის, რომელშიც განსაზღვრული იქნება შენობაში არსებული სივრცეების დასუფთავების წესი, პერიოდულობა და სხვა.

შემოწმების ფარგლებში ასევე წარმოდგენილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, **სხვადასხვა ჰიგიენის საშუალებების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც დასტურდება** 2021 წლის 12 ივლისის ზედნადებით, სხვადასხვა საშუალებების გადაცემასთან დაკავშირებით.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ვლინდება, რომ ბსუ-ს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებში გარკვეულწილად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობას აქვს წყალმომარაგება, აუდიტორიები უზრუნველყოფილია სადეზინფექციო საშუალებებით. შენობაში არის ადაპტირებული და არაადაპტირებული სველი წერტილები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულების ზოგიერთ ფართში საჭიროა იატაკის სრულად მოწესრიგება, რაც გამოწვეულია ჩატარებული სარემონტო სამუშაოებით, ასევე ნესტისგან დაზიანებული კედლების შეკეთება/გაუმჯობესება, რომელსაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა პერიოდულად ახდენენ.

მიმდინარე ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა დამატებით გაწეროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველის კონტროლის მექანიზმები, ასევე პერიოდულად უზრუნველყოს ნესტისგან/სარემონტო სამუშაოებისგან გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა.

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

დაწესებულების შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დოკუმენტაციით. ასევე, ვიზიტის დროს, შრომის და სწავლისათვის სათანადო პირობებისთვის შენობაში არსებული მდგომარეობით, რომლის ფარგლებშიც, ტემპერატურული რეჟიმი იყო დამაკმაყოფილებელი.

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;**

2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით № 07-01/50 ‘’ზსუ-ს შრომის უსაფრთხოები სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე’’, განსაზღვრულია აქვს შრომის უსაფრთხოების სამსახურის ამოცანა უზრუნველყოს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის ისეთი სისტემის (შემდეგში ,,შრომის უსაფრთხოების სისტემა“) შექმნა და აღსრულება, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს. დებულება ასევე მოიცავს სამსახურის სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობებს, როგორებიცაა საფრთხის შემცველი ფაქტორების გამოვლენა, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების აღრიცხვა, დასაქმებულებისთვის ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განახლებული შიდა რეგულაციების გაცნობა, მათთვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და სხვა.

გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი 3 სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელთა საქმიანობის მოიცავს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ყველა ფართში/სამუშაო სივრცეში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰყავს ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი, ხარისხის მართვის კოორდინატორი და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, „უსაფრთხოების ნორმების პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში“ რაც ასევე დასტურდება დაწესებულება ‘‘Education Center’’-ის მიერ (წითელი ჯვარი და UNDP) გაცემული სერთიფიკატით და მათი დანიშვნის ბრძანებებით.

შესაბამისად, ამ ინდიკატორის ფარგლებში, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში, შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არსებობს მექანიზმები და ხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს გარკვეული მექანიზმები, თუ როგორ ახდენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას და მათ შენახვა-გამოყენებას. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაწერილია პროცედურები პასუხისმგებელი პირების მითითებით. რეგულაციის მიხედვით, **პროგრამის სასწავლო გეგმის** გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს ბსუ-ს ადმინისტრაციისათვის მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს ბსუ-ს მატერიალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

რესურსების მართვის დეპარტამენტი, მიღება ჩაბარების აქტით. ცენტრში მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით ასევე დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა-განკარგვის წესი, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტები (პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა/ პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე / პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა/ პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით ) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში და შემდგომ მტკიცებულების ტიპიდან გამომდინარე, ნადგურება დადგენილი წესით, რჩება უნივერსიტეტში ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, კერძოდ 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანების N 01-02/11 ბსუ-ს ‘’პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ’’, მე-18 მუხლის ფარგლებში რეგულირდება დაწესებულებაში ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის პროცესი და მოცემულია ინფორმაცია ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირებზე, რომელიც ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებლებს.

შესაბამისად, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

მასწავლებლები გასაუბრებისას ასევე ადასტურდებენ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, ყველა საჭირო რესურსს თავის დროზე იღებენ, რისი ვადებიც ასევე გაწერილია რეგულაციით, შესაბამისად დასტურდება მასალების მოთხოვნისა და მიღების პრაქტიკა. გამომდინარე აქედან ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

2019 წლის 29 ნოემბრის ბრძანების, # 01-02/198 ‘’ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ’’, ფარგლებში დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გარკვეულწილად ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. მექანიზმი ასევე მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა მასწავლებლების/სტუდენტების კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან, რელევანტურობასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზე დაწესებულება იმუშავებს განვითარების გეგმას და ანხორციელებდეს რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპებს.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, 2021 წლის 20 თებერვლის ბრძანებით #01-10/92 ‘’ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ’’ დამტკიცებულ დოკუმენტში, ინდიკატორთან მიმართებაში, ასევე გაწერილია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია, რომელიც მონიტორინგს უწევს ბსუ-ს, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების, პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას; ასევე გაწერილია ცენტრის სპეციალისტის/ხარისხის მართვის კოორდინატორის ფუნქციები, რომელიც ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოორდინაციას უწევს ცენტრის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს და ასევე მონიტორინგს უწევს ბსუ-ს, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობას;

რაც შეეხება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს, რომელიც ასევე საჭიროებს შეფასებასა და განვითარებას, არ არის წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებს მისი პრაქტიკული განხორციელების ფაქტებს, მაგალითად ინვენტარის დაზიანების შესახებ ცნობას, მის შეკეთება-განახლებაზე ინფორმაციას, მაგრამ რაც შეეხება მექანიზმებს, მის ფარგლებში დაწესებულება ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; უნივერსიტეტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ''მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების მიხედვით'' დეპარტამენტის ფუნქციებს ასევე შორის განსაზღვრულია ინფორმაცია, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მოვლა-პატრონობისა და ასევე „უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ამორტიზირებული ან/და ექსპლუატაციისთვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების ნუსხის შედგენისა და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის წარდგენის შესახებ".

გამომდინარე აქედან, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. თუმცა, ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობა და ფუნქციები, რესურსების შეფასების ნაწილში, ასევე სრულად გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში.

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პსდ-ს შენობა ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით და აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, ვენტილაცია. შენობას შშმ პირთათვის ადაპტირებული კვანძები განთავსებული აქვს როგორც მე-2, ისე მე-3 სართულებზე. სველი წერტილები აღჭურვილია ხელსაბანებითა და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია ასევე ჰიგიენის საშუალებების მიღების დოკუმენტაცია.

შემოწმების შედეგად დგინდება, რომ არსებული გარემო ასევე ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის, რომელიც ასევე რეგულირდება 2017 წლის 29 ივნისის სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით #06 '' სსიპ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე'', რომლის ფუნქციებშიც შედის შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

დაწესებულების შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, რის უზრუნველსაყოფადაც დაწესებულების შენობას ასევე დამონტაჟებული აქვს პანდუსი, აქვს შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც განთავსებულია შენობის ორ სართულზე და ლიფტი.

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიკური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიების), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

დაწესებულების დათვალიერებისა და წარმოდგენილი ელექტროენერგიის საგადასახადო ანგარიშფაქტურებისა და გადახდის ქვითრების განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ, სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება სწავლა/მუშაობა, აქვთ როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შესაბამის პირობებს.

**10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

დაწესებულებაში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო შენობა მოიცავს თეორიული სწავლებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებს, ადმინისტრაციულ სივრცეს, სამუშაო სივრცეს პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს, რომლებიც წარმოდგენილია ერთ სივრცეში. სანიტარიულ კვანძებს, ბიბლიოთეკას, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტებს, სივრცეს არქივისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის: შენობის შიდა აზომვითი ნახაზისა და ასევე სხვადასხვა სივრცეების ფლობის შესახებ შევსებული ფორმის განხილვისა და შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სივრცეების განლაგება ადეკვატურია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განსახორციელებლად.

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

2016 წლის 25 თებერვლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით # 01-11/16 ''ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესახებ'', დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე გამოკრულია ბიბილიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აღნიშნული წესის მიხედვით, ასევე გაწერილია ბიბლიოთკის წიგნადი ფონდით და კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსებით სარგებლობის უფლებები, პირობები და ვადები.

ბიბლიოთეკას, გარდა ფიზიკურად არსებული სასწავლო რესურსისა აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: http://library.bsu.edu.ge

ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით, რომლებშიც ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა: https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php რითი სარგებლობის უფლებაც აქვთ და ხელმისაწვდომია დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტებისთვის. დაწესებულებას ასევე ჰყავს პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნადი ფონდების გამდიდრებას და მათ მოვლა-პატრონობას; ის ასევე პასუხისმგებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული სახით ან ბსუ-ს ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ხელმისაწვდომობაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

გამომდინარე აქედან, დაწესებულებაში, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განცხადების N 882021273942 საფუძველზე, 16/04/2021წ. მომზადებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. მიწის -(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N 05.25.12.020)
- 2018 წლის 07 ნოემბრის სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ''სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" ქ.ბათუმში, ლეონიძის ქ.15-ში არსებულ სასწავლო კორპუსში განთავსების თაობაზე
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
- შევსებული ფორმა დაწესებულების  სხვადასხვა სივრცეების ფლობის შესახებ
- 2020 წლის 17 სექტემბრის ბრძანებია #01-02/121 ''ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ''
- 2019 წლის 08 თებერვლის ბრძანება #01-02/11 ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ''
- 2016 წლის 25 თებერვლის ბრძანება # 01-11/16 ''ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესახებ''
- ვებ-გვერდზე განთავსებული ''ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი''
- 2007 წლის 14 ნოემბრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1106 ''საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ (5.04.2012 N 76/ნ)''
- 2017 წლის 1-ლი ნოემბრის ბრძანება # 02-05/139: ფიზიკური პირის, მ. ი. -სთვის ''ვადიანი ხელშეკრულების მოშლისა და ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტიის დასუფთავების განყოფილების უფროსად დანიშვნის შესახებ''



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით,  ბსუ-ში შესაბამის პასუხისმგებელ პირთან, 2021 წლის 23 თებერვალს გაფორმებული  შრომითი ხელშეკრულება # 02-10/07 (განახლებული: 2021 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმება)
- 2021 წლის 12 ივლისის ზედნადები, სხვადასხვა ჰიგიენის საშუალებების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება № 07-01/50 ‘’ბსუ-ს შრომის უსაფრთხოები სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე’
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დაწესებულების თანამშრომელთათვის, კომპანია ’Education Center’’-ის მიერ ჩატარებული ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატიები
- დანართი №1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ‘’მებაღეობა’’ სასწავლო გეგმა
- 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანებია N 01-02/11 ბსუ-ს ‘’პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ’’
- 2019 წლის 29 ნოემბრის ბრძანება, # 01-02/198 ‘’ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ’’
- 2021 წლის 20 თებერვლის ბრძანება #01-10/92  ‘’ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ’’
- 2017 წლის 29 ივნისის სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #06 ‘’ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე’’
- ელექტროენერგიის საგადასახადო ანგარიშფაქტურები და გადახდის ქვითრები
- ვებ - გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი: http://library.bsu.edu.ge
- ელექტრონული ბიბლიოთეკა:  https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php
- დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

2021 წლის 24 მარტის, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის #31 ფარგლებში, განხორციელდა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შენობა ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. დაწესებულებას ასევე აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, დასკვნის თანახმად, შენობა-ნაგებობა <u>სრულად არ აკმაყოფილებს</u> მოთხოვნებს, რომლის გამოსასწორებლადაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რაც დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-10/90 დამტკიცებული გეგმით ''დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ'', რომლითაც განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა, შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და ოდენობა. შემუშავებულია საპროექტო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დოკუმენტაცია და მიმდინარეობს სატენდერო წინადადების მომზადება, რომლის ფარგლებშიც გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა ნავარაუდევია 2021 წლის ბოლომდე.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2021 წლის 21 თებერვლის საექსპერტო დასკვნა, ლეონიძის ქ. #15-ში მდებარე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსი) შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობა) შესახებ, რომელიც გაცემულია ინჟინერ-მშენებლის, ფიზიკური პირის, რ. კ-ს მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს N 1-1/823 ბრძანებით განსაზღვრულ ექსპერტის მოთხოვნებს და რეგისტრირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში პროექტებისა და მშენებლობის ექსპერტად.

დასკვნის თანახმად, ვიზუალური დათვალიერების, ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის, კვლევის შედეგებისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, (სასწავლო და საცხოვრებელი) შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უზრუნველყოფილია მისი საერთო მდგრადობა, სიმტკიცე და უსაფრთხო ექსპლუატაცია.

შემოწმების ფარგლებში, ასევე წარმოდგენილ იქნა, 2017 წლის 29 ივნისის სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #06 '' სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე'', რომლის მიხედვითაც სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებზე პასუხისმგებელია დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება. დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების ფუნქციები, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების, სახანძრო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. ასევე წარმოდგენილია 2021 წლის 16 ივლისის დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება #02-10/32 , ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებაში დაცვის თანამშრომლის ფუნქციების შესრულების შესახებ. როგორც გასაუბრებისას უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი აღნიშნავს, დაცვის თანამშრომლებს უწევთ სამუშაოს განხორციელება უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფ სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ობიექტებზე. ჰყავთ დასაქმებული დაცვის 4 თანამშრომელი, რომელთა ობიექტებზე მორიგეობის პერიოდულობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ასევე დაცვისა და განყოფილების უფროსის მიერ ხელმოწერილი სექტემბერ-ოქტომბრის თვის მორიგეობის განრიგი, თუმცა იგი არ არის დაყოფილი ადგილმდებარეობის მიხედვით/მითითებით, რადგან მორიგეობების მიხედვით მათ უწევთ უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფ სხვადასხვა ობიექტებზე სამუშაო ადგილმდებარეობების შეცვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა უფროსის მოვალეობებისა, დაცვისა და უსაფრთოხების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაწეროს სამუშაო აღწერილობები, ხოლო დაცვის თანამშრომლების მორიგეობის განრიგის დოკუმენტში მითითებული იქნას ასევე ობიექტის მისამართი.

**2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**

2016 წლის 2 დეკემბრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით # 01-11/79 ‘’ზსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ’’, განსაზღვრულია პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ მექანიზმები, თუმცა ამ დოკუმენტით დამატებით არ არის განსაზღვრული პირველადი დახმარების კაბინეტი, რომელიც მდებარეობს კონკრეტულად დაწესებულების სარგებლობაში არსებულ, ლეონიძის ქ. #15-ში მდებარე შენობაში, რადგან ეს კაბინეტი მდებარეობს დაწესებულების მიმდებარედ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ხოლო ლეონიძის ქ. #15-ში მდებარე შენობაში დაწესებულებას გამოყოფილი აქვს საიზოლაციო ოთახი, რომელიც გამოიყენება პირველადი დახმარების დანიშნულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულებას ჰყავს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ბსუ-ს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურში, ჰყავს პასუხისმგებელი პირი, ექიმი-თერაპევტი, რომელიც დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 11 იანვრის ბრძანებით # 02-05/3 დანიშვნის აქტით. ექიმი-თერაპევტი, გარდა სამედიცინო საჭიროებით არსებული დახმარების გაწევისა ვალდებულია აკონტროლოს პირველადი დახმარების საშუალებების ვადები და აწარმოოს შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის აღრიცხვის მიზნით.

გარდა ექიმი-თერაპევტისა დაწესებულებას დამატებით ჰყავს ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით. აღნიშნული დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებით #01-12/59 ‘‘ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისთვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ’’ და თანამშრომელთათვის გაცემული ვადიანი სერთიფიკატებით, რომელთა მოქმედების ვადა იწურება 2022 წლის 9 თებერვალს.

დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ შენობაში არსებული კაბინეტი, რომელიც გამოიყენება პირველადი დახმარების დანიშნულებით, არის ნათელი, ნიავდება ბუნებრივი წესით, აღჭურვილია ხელსაბანით, სადეზინფექციო ხსნარით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით: პირველადი დახმარების ჩანთა მედიკამენტებით, თერმომეტრით.

აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. თუმცა, გამომდინარე იქედან რომ ინსტრუქციაში გაწერილია ექიმი-თერაპევტის ფუნქციები, ხოლო დაწესებულებას ასევე ჰყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი, დროებით დანიშნული პირები, ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მათთვისაც გაიწეროს სამუშაო აღწერილობები, რადგან ისინი კვალიფიკაციით არ არიან ექიმ-თერაპევტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

სახანძრო უსაფრთხოების ფარგლებში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მართვის გეგმა რაც დასტურდება 2017 წლის 6 ნოემბრის ბრძანების #01-11/89 (**ცვლილება: ბრძანება #01-10/78 15 სექტემბერი, 2021წ.**) **საფუძველზე ‘’ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ**’’), რომელიც შეთანხმებულია დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, რაც მოიცავს სხვადასხვა სახის უსაფრთხოების მოთხოვნებს დაწესებულების ტერიტორიაზე, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას აქვს შემუშავებული გარკვეული მექანიზმები საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვისათვის. აღნიშნული ცვლილებით დამატებულია ცენტრის მისმართი, მაგრამ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები არ მოიცავს ცენტრის მისამართს, რაც საჭიროებს სრულ შესაბამისობაში მოყვანას და საევაკუაციო გეგმის შემუშავებას ლეონიძის #15-ში მდებარე შენობისთვის.

დაწესებულების შენობაში, განთავსებულია ხანძარჩამქრობი მოწყობილობები და თვალსაჩინო ადგილებში ასევე გამოკრულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ევაკუაციის შემთხვევაში რეკომენდირებული ქცევის წესები, თუმცა არ არის შემუშავებული საევაკუაციო გეგმები, კონკრეტულად ლეონიძის #15-ში მდებარე შენობისთვის, რისი გამოსწორებაც უნდა მოხდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში. რაც დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-10/90 დამტკიცებული გეგმით ‘’დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ’’. გეგმით. განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი სტრუქტურა, დაფინანსების წყარო და ოდენობა. გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა კი ნავარაუდევია 2021 წლის ბოლომდე.

ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალიწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან **‘’მეტწილი შესაბამისობა’’.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დაწესებულება სრულად არ არის აღჭურვილი ვიდეოჩანაწერების შენახვის ფუნქციის მქონე ვიდეოკამერებით, რომლის გამოსწორებაც ასევე იგეგმება, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, რაც დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-10/90 დამტკიცებული გეგმით ‘’დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ’’. გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა კი იგეგმება 2021 წლის ბოლომდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულება ფასდება **‘’მეტწილ შესაბამისად’’.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი #31, 24.03.2021 წ.
- 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-10/90 დამტკიცებული გეგმით ‘’დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ’’,
- 2021 წლის 21 თებერვლის საექსპერტო დასკვნა, ლეონიძის ქ. #15-ში მდებარე, სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალფუნქციური ობიექტის (საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსი) შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობა)
- ინჟინერ-მშენებლის, ფიზიკური პირის, რ. კ-ს სახელზე გაცემული 2013 წლის 15 თებერვლის ცნობა N01-11/734,რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს N 1-1/823 ბრძანებით განსაზღვრულ ექსპერტის მოთხოვნებს და რეგისტრირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში პროექტებისა და მშენებლობის ექსპერტად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

- 2021 წლის 16 ივლისის შრომითი ხელშეკრულება #02-10/32, რომელიც გაფორმებულია დაწესებულების დაცვის თანამშრომელთან
- 2016 წლის 2 დეკემბრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება # 01-11/79 ''ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ''
- 2013 წლის 11 იანვრის ბრძანებია # 02-05/3 ექიმი-თერაპევტის, დანიშვნის აქტი
- დაწესებულების ადმინისტრაციისთანამშრომელთათვის გაცემული ვადიანი სერთიფიკატები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით
- 2021 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება #01-12/59 ''ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისთვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ''
- 2017 წლის 6 ნოემბრის ბრძანება #01-11/89 (ცვლილება: ბრძანება #01-10/78 15 სექტემბერი, 2021წ.) ''ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ''.
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დამტკიცებული 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-10/90 ''დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ''
- დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

დაწესებულებას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, აქვს განსაზღვრული მართვის პროცედურები და ადმინისტრირების რეგულაციები, რაც დასტურდება, 2017 წლის 14 ივნისის ბრძანებით #01-11/47 (ცვლილება და დამატება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 01 თებერვლის N01-11/7 და 2018 წლის 26 მარტის 01-11/34 ბრძანებებით ) '' ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'', რომლის თანახმადაც ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიები მოიცავს შესაბამის ინფრასტრუქტურას და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ადმინისტრირებას და დოკუმენტაციის (მათ შორის დომენის, ჰოსტინგისა და უსაფრთხოების სერტიფიკატის) შენახვას ახორციელებს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ბრძანებით ასევე დადგენილია დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის: http://bsu.edu.ge/ ადმინისტრირების რეგულაციები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება ასევე აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობა აღჭურვილია 3 კომპიუტერული კლასით (თითოეულში 21 კომპიუტერი: 1 მასწავლებლის და 20 სტუდენტის), ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი, დერეფანში განთავსებულია 3 კომპიუტერი.

ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, რაც ასევე დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან, შპს ‘’Georgianairlink’’-თან გაფორმებული 2021 წლის 29 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით #18 და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით.

**2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, რომელიც რეგულირდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2017 წლის 14 ივნისის ბრძანებით #01-11/47 ‘’ ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ’’ და მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვასა და ამ რისკების მართვის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების ჩამონათვალს.

იდენტიფიცირებულია დაწესებულებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგილები, კერძოდ კრიტიკულად საჭირო სტრუქტურებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, სტუდენტთა რეესტრის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მართვის დეპარტამენტი (დიპლომების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free
გაცემის სამსახური), ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, კანცელარია, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო) არსებული ინფორმაციის რეზერვაცია ხდება სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში;

დაწესებულების ვებგვერდი და მისი ყველა ქვედომენი დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების SSL სერთიფიკატით, რისთვისაც ინფორმაციული უსაფრთხოების დასაცავად დაწესებულება იყენებს ლიცენზირებულ ანტივირუსს ESET Dynamic Endpoint Protection, რომელიც დასტურდება 2020 წლის 24 იანვრის შპს ''სოფთლაინ საქართველო''-სთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით #27 პროგრამული პაკეტის 1 წლიანი ლიცენზიის შეძენის შესახებ. გასაუბრებისას აღინიშნა რომ არსებული ხელშეკრულება განახლდა 2021 წელს, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა განახლებული ხელშეკრულების ნახვა, მაგრამ მასთანავე უდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში IT რისკების პრევენცია ხორციელდება რეგულაციებით გათვალისწინებული დაცვის უფასო სისტემის მეშვეობითაც, შესაბამისად, აღნიშნული არ იწვევს ინდიკატორის მოთხოვნების დარღვევას და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პერსონალური მონაცემთა დაცვის მიმართულებით, ხელმძღვანელობენ კანონით დადგენილი წესით. დაწესებულების აქტებით განსაზღვრულია ასევე გარკვეული სახის პუნქტები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2017 წლის 14 ივნისის ბრძანებაში #01-11/47 ''ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'', პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებაში, არის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც ეხება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით ჩანაწერის გაკეთებას, ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილება/ფუნქცია უნდა განხორციელდეს ,,პერსონალურ მონაცემთან დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით''.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

როგორც აღინიშნა, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, დაწესებულება ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების დროს ახდენს პერსონალური მონაცემების წაშლას (ტექსტური ფაილების შემთხვევაში) ან დამალვას (დასკანერებული ფაილების შემთხვევაში), ხოლო პერსონალური ინფორმაციის გავრცელების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება გავრცელების წყაროს მოძიება (კონკრეტული ბმულის, ფაილის, ბაზაში ჩანაწერის, საიდანაც ხდება ინფორმაციის გამოტანა) და ამ ინფორმაციის კორექტირება.

თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ‘‘არ შეესაბამება’’.

გამომდინარე იქედან, რომ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ექპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული რაიმე სახის ცალკეული დოკუმენტი/რეგულაცია, რომელშიც იქნებოდა აღწერილი თუ როგორ იცავს იგი პერსონალურ მონაცემებს, რა მექანიზმები აქვს ამისთვის შემუშავებული და შეესაბამება თუ არა ეს მექანიზმები კანონმდებლობას.ასევე, ექსპერტთა მიერ, აღინიშნა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, პროფესიული მასწავლებლების შესახებ, წარმოდგენილი იყო მათი პირადი მობილურები და პერსონალური ელ-ფოსტა, ამასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში, მე-2 მუხლით 2.4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში, განსაზღვრულია შემდეგი: დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

თუმცა, ექპერტთა მოსაზრებით, ამ მუხლით არ რეგულირდებოდა პირადი მიონაცემების საჯაროდ გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხი. ასევე დამატებით არ დასტურდებოდა ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით დასაქმებულთა მიერ თანხმობის არსებობა შესაბამისი დოკუმენტაციით/აქტით.

რასთან დაკავშირებითაც, არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულებამ განმარტა, რომ დაწესებულების საქმისწარმოების ინსტრუქციის თანახმად, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, დასაქმებულთა და პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სტუდენტების პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია განთავსებულია მათ პირად საქმეებში. ხოლო, ასევე, საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-5 მუხლის („უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოება“) მე-4 პუნქტის თანახმად: „დასაქმებულის პირად საქმეში არსებული მონაცემებიდან ყოველწლიურად განახლებას ექვემდებარება დასაქმებულის ავტობიოგრაფია (CV), საკონტაქტო მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია დასაქმებულის მიერ ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ცვლილებისთანავე (3 სამუშაო დღის ვადაში) მის პირად საქმეში და ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად.“

ამასთანავე, დასაქმებული, მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (2.2. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის) თანახმად, იღებს ვალდებულებას გაეცნოს და შეასრულოს შესაბამის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, მათ შორის ბსუ-ს წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ასევე ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქცია.

ასევე, დაწესებულების რექტორის, 2020 წლის 17 სექტემბრის №01-02/121 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის მე-2 მუხლის (. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები“) მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას მისი <u>პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და ბსუ-ს სასწავლო პროცესის სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.</u>

გამომდინარე აქედან, აღნიშნულ ნაწილში, ექსპერტები ეთანხმებიან, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და თვლიან, რომ დაწესებულების მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებისა (პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან) და საქმისწარმოების ინსტრუქციის ფარგლებში, მოცემულია შესაბამისი მონაცემთა სუბიექტების (პროფესიული სტუდენტი/პროფესიული განათლების მასწავლებლის) თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ზემოაღნიშნული ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც <u>‘‘შეესაბამება’’.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ხოლო, ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, ერთიანი რეგულაციის შემუშავების, რომელშიც უფრო დეტალურად გაწერს, კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვასთან (გასაჯაროება, წარდგენა, შენახვა და სხვა) დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, პროფესიული სტუდენტის და პერსონალის თანხმობის აღნიშნულ საკითხებზე.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დაწესებულება პერიოდულად აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისი გაუმჯობესების ერთ-ერთი მაგალითია დისტანციური სწავლების პერიოდში გამოვლენილი დამატებითი მოთხოვნა გარკვეულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. Covid19-ის პერიოდში გაირკვა რომ საჭირო იყო დამატებითი რესურსის მობილიზება დისტანციური სწავლებისთვის, რისთვისაც დაწესებულებამ შეიძინა პროგრამა ‘’zoom’’-ის საგანმანათლებლო ვერსიის ლიცენზია, 60 მომხმარებელზე 1 წლის ვადით. რაც დასტურდება 2021 წლის 18 მარტის ბრძანებით #01-10/28.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, 2021 წლის 20 თებერვლის ბრძანებით #01-10/92 ‘’ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ’’ დამტკიცებულ დოკუმენტში, ინდიკატორთან მიმართებაში, ასევე გაწერილია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია, რომელიც მონიტორინგს უწევს ბსუ-ს, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების, პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას; აფასებს როგორც ტექნიკური აღჭურვილობის ისე IT პროცესების ეფექტიანობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ასევე გაწერილია ცენტრის სპეციალისტის/ხარისხის მართვის კოორდინატორის ფუნქციები, რომელიც ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოორდინაციას უწევს ცენტრის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს და ასევე მონიტორინგს უწევს ბსუ-ს, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობას;

აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია, თუმცა ამასთანავე ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა ახლა მოქმედ პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში მოხსენიებული ზოგადი ფუნქციებისა, რომლებიც აკისრია ხარისხის თანამშრომლებს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის კუთხით, მკაფიოდ გაწეროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

**5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის; გამომდინარე აქედან იგი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის და ასევე პერსონალისთვის კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. შენობაში ასევე შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და სტუდენტებისათვის.

ყოველივე აღნიშნული დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან, შპს ''Georgianairlink''-თან გაფორმებული 2021 წლის 29 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით #18, რომლის მოქმედების ვადაა 2022 წლის 10 თებერვლამდე და ასევე ადგილზე გადამოწმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულების რექტორის 2017 წლის 8 სექტემბრის N02-06/409 ბრძანებით დამტკიცებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობები სამსახურის უფროსის, მთავარი სპეციალისტებისა და სპეციალისტებისთვის. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი დასაქმებულთა მიერ შესასრულებელი სამუშაოები. ინდიკატორთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ადგილზე არ ყავს, კონკრეტულად ლეონიძის #15-ში მდებარე შენობისთვის გამოყოფილი აიტი სპეციალისტი, ისინი შედიან უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაში და როგორც პასუხისმგებელ პირებთან საუბრისას ირკვევა საჭიროების შემთხვევაში ხდება სპეციალისტის ადგილზე მობილიზება. დაწესებულების განმარტებით, ცენტრს ამჟამად ემსახურება უნივერსიტეტის IT სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ვიზიტის პერიოდში ასევე იმყოფებოდა დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

**6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დაწესებულებას აქვს საკუთარი დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართები. ბსუ-ს კორპორატიული ელფოსტა შექმნილია დომენით: bsu.edu.ge და bsu.ge . კორპორატიული ელ.ფოსტების მართვას ახდენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. დომენის ფლობა დასტურდება შპს. ‘’გრენა’-სთან გაფორმებული, 2020 წლის 13 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით #119. დაწესებულებაში მოქმედი საქმისწარმოების ინსტრუქციის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის მ/შ 2016 წლის 16 თებერვლის #-01-08/6 ბრძანებით (ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 10 მარტის N01-08/14; 2018 წლის 20 ივლისის N01-08/93; 2018 წლის 02 ნოემბრის N 01-08/152; 2018 წლის 20 დეკემბრის N01-08/181 და 2021 წლის 23 ივლისის N0-02/123 ბრძანებებით) ‘’საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია’’, ბსუ-ს პერსონალი ვალდებულია საქმისწარმოებისას სამუშაო დღის განმავლობაში ერთხელ მაინც გაეცნოს - eFlow.emis.ge-ს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ბაზაში რეგისტრირებულ საკუთარ გვერდს, ასევე, საქმიანი მიმოწერისათვის განსაზღვრულ, ბსუ-ში წარმოდგენილ CV-ში მითითებულ ელექტრონულ მისამართს. არსებული ინსტრუქცია განსაზღვრავს ბსუ-ში დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და გაგზავნის, დოკუმენტების (წერილების, სამართლებრივი აქტების, ოქმების) შედგენის, გაფორმება/ვიზირების, ხელშეკრულებების/ მემორანდუმების/ შეთანხმებების შედგენის, გაფორმების, ვიზირებისა და რეგისტრაცის საკითხებს. ასევე, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების ვადებისა და კონტროლის და ა.შ. საკითხებს.

დაწესებულებაში ასევე არსებობს ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, პერსონალის და სტუდენტებისათვის არსებობს ბსუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტები, დომენით: bsu.edu.ge და bsu.ge; სტუდენტური პორტალი portal.bsu.edu.ge; სოციალური გვერდი/ჯუფი. დაწესებულებას ასევე აქვს სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომლის საშუალებითაც ახორციელებს შესაბამისი ჯგუფების (სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებას როგორებიცაა: სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.bsu.edu.ge , საქმისწარმოების მართვის ელექტრონული სისტემა eflow.emis.ge ; ბიბლიოთეკის კატალოგის მართვის პროგრამა - OpenBiblio: biblio.bsu.edu.ge ; შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა;

განხილული დოკუმენტაციებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენების პრაქტიკა, შესაბამისად პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება #01-11/47 (ცვლილება და დამატება: ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 01 თებერვლის N01-11/7 და 2018 წლის 26 მარტის 01-11/34 ბრძანებები ) ‘’ ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ’’



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

- ინტერნეტ პროვაიდერთან, შპს ''Georgianairlink''-თან  გაფორმებული 2021 წლის 29 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #18
- 2020 წლის 24 იანვრის შპს ''სოფთლაინ საქართველო''-სთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #27, ლიცენზირებული ანტივირუსის ESET Dynamic Endpoint Protection-ით სარგებლობასთან დაკავშირებით
- 2021 წლის 18 მარტის ბრძანება #01-10/28, პროგრამა ''zoom''-ის საგანმანათლებლო ვერსიის ლიცენზიის შეძენის შესახებ
- 2021 წლის 20 თებერვლის ბრძანება #01-10/92  ''ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ''
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართები, რომლებიც შექმნილია შემდეგი დომეინებით: bsu.edu.ge და bsu.ge
- შპს. ''გრენა'-სთან გაფორმებული, 2020 წლის 13 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #119.
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.bsu.edu.ge
- ბსუ-ს რექტორის მ/შ 2016 წლის 16 თებერვლის #-01-08/6 ბრძანებით (ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 10 მარტის N01-08/14; 2018 წლის 20 ივლისის N01-08/93; 2018 წლის 02 ნოემბრის N 01-08/152; 2018 წლის 20 დეკემბრის N01-08/181 და 2021 წლის 23 ივლისის N0-02/123 ბრძანებებით) ''საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია''
- ბიბლიოთეკის კატალოგის მართვის პროგრამა - OpenBiblio:  biblio.bsu.edu.ge ;
- დაწესებულების სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/BSUBatumi/
- გასაუბრების შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს № 07-01/42 გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების მე -2 პუნქტის მიხედვით - „ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულების დამტკიცების შესახებ“) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N12 გადაწყვეტილება დამტკიცებულია **„ბსუ -ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულება“**, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) სამსახურის ფუნქციები, პერსონალი და მათი ფუნქცია-მოვალეობები და დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი. საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია) ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

საქმისწარმოების ფარგლებში, დაწესებულება ასევე ხელმძღვანელობს ბსუ-ს რექტორის მ/შ 2016 წლის 16 თებერვლის #-01-08/6 ბრძანებით (ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 10 მარტის N01-08/14; 2018 წლის 20 ივლისის N01-08/93; 2018 წლის 02



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ნოემბრის N 01-08/152; 2018 წლის 20 დეკემბრის N01-08/181 და 2021 წლის 23 ივლისის N0-02/123 ბრძანებებით) **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია".**

არსებული საქმისწარმოების ინსტრუქცია განსაზღვრავს ბსუ-ში დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და გაგზავნის, დოკუმენტების (წერილების, სამართლებრივი აქტების, ოქმების) შედგენის, გაფორმება/ვიზირების, ხელშეკრულებების/მემორანდუმების/შეთანხმებების შედგენის, გაფორმების, ვიზირებისა და რეგისტრაცის საკითხებს. ასევე, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების ვადებისა და კონტროლის, უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოების, სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოების, საქმეთა ფორმირების, მათი არქივისათვის გადაცემისა და საარქივო დოკუმენტების გამოყენების და ა.შ. საკითხებს. ამავე დოკუმენტიაში ასევე აღნიშნულია დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესით. თუმცა აღნიშნული ჩანაწერი მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დაზუსტებას და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენცია (ფოსტის მეშვეობით/მატერიალური სახით/ელექტრონულად, მათ შორის სტუდენტური პორტალის საშუალებით ან უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge ან ბსუ-ს კანცელარიის ელ.ფოსტაზე - chancelery@bsu.edu.ge შემოსული, რეგისტრირდება და აღირიცხება ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია). კანცელარიაში დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას, ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით რეგისტრაციას (eFlow.emis.ge-ს მეშვეობით).

საქმისწარმოების ინსტრუქციის თანახმად, ბსუ-ს პერსონალი ვალდებულია საქმისწარმოებისას სამუშაო დღის განმავლობაში ერთხელ მაინც გაეცნოს - eFlow.emis.ge-ს ბაზაში რეგისტრირებულ საკუთარ გვერდს, ასევე, საქმიანი მიმოწერისათვის განსაზღვრულ, ბსუ-ში წარმოდგენილ CV-ში მითითებულ ელექტრონულ მისამართს. დაწესებულებას საქმისწარმოების ინსტრუქციით ასევე განსაზღვრული აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა და იცავს მას, აღნიშნული შემოწმდა ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა შერჩევითი მონაცემების დათვალიერებისა და გასაუბრების საფუძველზე.

მოქმედი საქმისწარმოების მუხლი 5-ის მიხედვით უნივერსიტეტის პერსონალის პირად საქმეთა წარმოების, 1-ლი ქვეპუნქტის გათვალისწინებით ბსუ-ში დასაქმებულზე (პერსონალზე) უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ იხსნება პირადი საქმე, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის სია.

გამომდინარე აქედან, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

**2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის**

უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციის (ცვლილება: 2021 წლის 23 ივლისის ბრძანება N01-02/123 ) 1-ელი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი აქტების სტუდენტებისათვის და პერსონალისათვის გაცნობა - საჯარო გამოცხადება (გარდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა, რომელიც ეხება მხოლოდ ერთ პირს) ხორციელდება ვებგვერდის საშუალებით (www.bsu.edu.ge) ან/და საინფორმაციო დაფების მეშვეობით, ხოლო მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენცია (ფოსტის მეშვეობით/მატერიალური სახით/ ელექტრონულად, მათ შორის სტუდენტური პორტალის საშუალებით ან უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე info@bsu.edu.ge ან კანცელარიის ელ. ფოსტაზე - chancelery@bsu.edu.ge შემოსული, რეგისტრირდება და აღირიცხება საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია).

დაწესებულება მართვაში გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას E-Flow-ს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდო აღრიცხვიანობას და რეგისტრაციას. რეგულაციების თანხმად, კანცელარიაში დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას, ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

რეგისტრაციას (eFlow.emis.ge-ს მეშვეობით). უნივერსიტეტიდან კი კორესპონდენცია იგზავნება ელექტრონულად (eFlow.emis.ge-ს მეშვეობით).

დაწესებულებას აქვს სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, როგორებიცაა: სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.bsu.edu.ge , საქმისწარმოების მართვის ელექტრონული სისტემა eflow.emis.ge ; ბიბლიოთეკის კატალოგის მართვის პროგრამა - OpenBiblio biblio.bsu.edu.ge ; შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა. დაწესებულება ასევე იყენებს MS Office-ს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

გამომდინარე აქედან, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 22 ოქტომბრის N 01-10/92 ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები. ბრძანების დანართი 1 - ის მე-5 მუხლის - „ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი)“ „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღნიშნული პირი, „უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (vet.emis.ge; evet.emis.ge; tvet.emis.ge) სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას“. ამავე დოკუმენტის მე-2 მუხლის მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერი - „მონიტორინგს უწევს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანის პროცესს“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში სასწავლო პროცესის მენეჯერმა, უზრუნველყო ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია და უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

დაწესებულება მართვაში გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას E-Flow-ს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდო აღრიცხვიანობას და რეგისტრაციას. ასევე ჰყავს პირი, ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებაზე. აღნიშნული შემოწმდა ასევე ვიზიტის ფარგლებში, პასუხისმგებელი პირის მიერ, პირადი გვერდიდან გაგზავნილი ბოლო კორესპონდენციის ფარგლებში, რომლის გადამოწმების შედეგები სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 6 აგვისტოს № 07-01/42 გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების მე -2 პუნქტის მიხედვით - „ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულების დამტკიცების შესახებ“) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N12 გადაწყვეტილება დამტკიცებულია „ბსუ -ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულება“
- 2016 წლის 16 თებერვლის #-01-08/6 ბრძანებით (ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 10 მარტის N01-08/14; 2018 წლის 20 ივლისის N01-08/93; 2018 წლის 02 ნოემბრის N 01-08/152; 2018 წლის 20 დეკემბრის N01-08/181 და 2021 წლის 23 ივლისის N0-02/123 ბრძანებებით) ‘’საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქცია’’.
- პერსონალის პირადი საქმეები
- 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება № 07-01/50 ‘’ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე’’
- 2021 წლის 22 ოქტომბრის N 01-10/92 ‘’ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ’’



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

დაწესებულების აქვს ოფიციალური ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/sub-54/news/index.html და სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/BSUBatumi/ . ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო ვებ-გვერდს ასევე დამატებით გააჩნია სიახლეების გამოწერის ფუნქცია, დაინტერესების შემთხვევაში სასურველი ელ-ფოსტის მითითების გზით. სოციალური ქსელი იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, მნიშვნელოვანი სიახლეების, წარმატებული სტუდენტების შესახებ. სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად ასევე ვლინდება რომ დაწესებულება არის ჩართული სხვადასხვა აქტივობებში სოციალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free
პასუხისმგებლობის მიმართულებით, როგორიცაა საყოველთაო ვაქცინაცია, სხვადასხვა ინციდენტის გამო დააზარალებული ადამიანების დახმარება და სხვა.

ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის, ძირითადი მიმართულებების, მისი სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია ანონსები, ახალი ამბები, განცხადებები, სხვადასხვა სახის კითხვარები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, სტუდენტთა მიღების წესი, ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სამუშაო აღწერილობა, სხვადასხვა დეპარტამენტების სამუშაო აღწერილობები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ინფორმაცია ადმინისტრაციასა და პერსონალზე.

გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის შესახებ, რომელშიც გაერთიანებულია ღირებულებები, თუმცა არ იძებნება ინფორმაცია დაწესებულების ხედვის შესახებ. აქ ასევე განთავსებულია პროგრამის კატალოგები, რომელთა განახლებული ვერსიაც გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი და თარიღდება 2019-2020 წლებით. აღნიშნული საკითხი ასევე სტანდარტის ინდიკატორის (5.2.3 – 5) ფარგლებში შეფასდა როგორც ‘’არ შეესაბამება’’. გამომდინარე აქედან, კატალოგში განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე, არ ხდება სწორი და განახლებული ინფორმაციის მოძიება.

ასევე ვებგვერდზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, განთავსებულია ინფორმაციები დაწესებულების ავტორიზებული პროგრამების შესახებ სადაც მოხსენიებულია ‘’საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება’’ ქართული ენის მოდულების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა ‘’საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ’’. შესაბამისად საჭიროა აღნიშნულის შესახებ ჩანაწერების განახლება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობით, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციები; კერძოდ სამსახურის მთავარი სპეციალისტისა და სპეციალისტების მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა.

შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა, თუმცა, შემოწმების შედეგად ვლინდება რომ ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები არ არის განახლებული და ინდიკატორის ფარგლებში ის არღვევს თავისივე რეგულაციას.

ვებგვერდს ასევე აქვს საძიებო სისტემა, თუმცა საბოლოო ჯამში ვებგვერდზე ნავიგაცია არ არის მარტივი და არის ტექნიკური უზუსტობები. მაგალითისთვის ბმულზე: **https://bsu.edu.ge/sub-29/program/1/index.html** რომელიც დასათაურებულია, როგორც ‘‘საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი’’, განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული პროგრამებისა და საწავლო გეგმების შესახებ, რომელსაც თან ახლავს დანართთა ჩამონათვალი, ხოლო ამ დანართების მოძიება ასევე ვერ ხდება ვებგვერდის მეშვეობით.

შესაბამისად, მის მიერ შემუშავებული რეგულაციის თანახმად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე განახლებული ინფორმაციის განთავსება, ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა და მათი ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით რაც არ არის სრულყოფილად შესრულებული.

გამომდინარე იქედან, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა მან ასევე სრულყოფილად უნდა შეასრულოს საინფორმაციო ფუნქციაც და უზრუნველყოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტების განახლებული ინფორმაციის განთავსება, ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა და მათი ლოგიკური დაჯგუფება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free
დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა აზრით, ვებგვერდი არ ითვალისწინებს სრულყოფილი ინფორმაციის მიღების ინტერესს;

**შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც '' არ შეესაბამება''. თუმცა, დაწესებულება, არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, აღნიშნული საკითხები ასახა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 3 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დამკიცებული შესაბამისობის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი აქტივობები და ვადები, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს, აღნიშნული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა 2021 წლის 6 დეკემბრიდან 2022 წლის 6 ივნისამდე ვადებში.**

**გამომდინარე აქედან, დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი ფასდება, როგორც ''მეტწილ შესაბამისად''.**

**2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ქართულ ენაზე. თუმცა, გამომდინარე იქედან რომ იგი ასევე ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსაც და მისი ერთ-ერთი მისიაა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში აქვს ორენოვანი ვებ-გვერდი, უცხოენოვანი ოფიციალური ვებგვერდის მისამართით: https://bsu.edu.ge/?lang=en . უცხოენოვანი ვებ-გვერდი არ არის ქართულენოვანის იდენტური, მაგრამ აქ განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, როგორიცაა: ისტორია, მისია, სასწავლო მიმართულებები, ინფორმაცია პერსონალისა და პროგრამების შესახებ, კვლევები, სიახლეები და სხვა. ასევე დამატებულია, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ველი და პროგრამების ჩამონათვალი, თუმცა არ არის რაიმე სახის აღწერა პროგრამებთან მიმართებაში, რაც სასურველი იქნება რომ დაემატოს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება ქართულ ენაზე - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, ამ წესითა და ამ სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო ინგლისურ ენაზე - ასევე შესაბამისი კომპეტენტური პირის (სტრუქტურის) მიერ. - უცხოენოვანი ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

**3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 8 სექტემბრის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით N 02-06/410 დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობით, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციები; კერძოდ სამსახურის მთავარი სპეციალისტისა და სპეციალისტების მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა.

ვებგვერდის მართვასა და სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები რეგულირდება 2017 წლის 14 ივნისის, ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით N 01-11/47 –''ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ''. ვებგვერდის ადმინისტრირების წესის თანახმად, მიწოდებული მასალის (ინფორმაციის) დამუშავებაზე პასუხისმგებელია ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელსაც ფაკულტეტების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმაცია მიეწოდება ამ ერთეულების ხელმძღვანელების ან მათ მიერ განსაზღვრული პირების მიერ. ინფორმაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

განთავსება კი განაწილებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებსა და ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტზე.

ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'', მუხლი 2-ის ''ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების'' ფარგლებში, განსაზღვრულია, რომ ვებგვერდის ადმინისტრირება მოიცავს მის ველებში განსათავსებელი მასალების (შინაარსობრივად, ენობრივად და სტილისტურად გამართული) მომზადებას, განახლებას და სისტემატურ

შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები, მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. თუმცა, გამომდინარე იქედან რომ მან უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც თავისთავად მოიაზრებს დროული, განახლებული და ლოგიკურად დაჯგუფებული ინფორმაციის მიწოდებას, რაც შემოწმების ფარგლებში სრულად არ იყო დაკმაყოფილებული.

**შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც ''არ შეესაბამება''. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში, დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, გამოაგზავნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 3 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დამკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახა აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი აქტივობები და ვადები, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს, აღნიშნული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა 2021 წლის 6 დეკემბრიდან - 2022 წლის 6 ივნისამდე ვადებში.**

**გამომდინარე აქედან, დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორები ფასდება, როგორც ''<u>მეტწილ შესაბამისად</u>''.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

აღნიშნული ინდიკატორი, ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც ''არ შეესაბამება'', გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მხრიდან არ იყო გათვალისწინებული გარკვეული საკითხები და ეს საკითხები არ იყო ასახული შესაბამისობის გეგმაში.

კერძოდ, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული იყო პროგრამების კატალოგები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა მიმართულების პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის შესახებ. ვებგვერდზე განთავსებული კატალოგები თარიღდება 2019, 2020 წლებით, ხოლო განახლებული კატალოგის მოძიება ვებ-გვერდზე ვერ ხდებოდა.

2019 წლის კატალოგი, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11826_1.pdf ძირითადად იგი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტაციიდან ამოღებული ინფორმაციის ერთობლიობა, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის, მიზნის, დაშვების წინაპირობებისა და სწავლის შედეგის შესახებ.

შესაბამისად კატალოგში განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე არ ხდება სრულყოფილი, სწორი და განახლებული ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის. მაგალითისთვის, კატალოგში მოხსენიებულია ''საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება'', რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა ''საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის #42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ''.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ასევე კატალოგში არ არის გამოყენებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, პროგრამების ''სატყეო საქმის'' და ''მებაღეობის'' კატალოგში არ არის ინფორმაცია თუ რომელი დონეს განეკუთვნება აღნიშნული პროგრამების. ხვა პროგრამების ფარგლებში გამოყენებულია ტერმინი საფეხური, მაგ. ბუღალტრული აღრიცხვის უმაღლესი პროფეიული კვალიფიკაციის პროგრამის შემთხვევაში.

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგები არ იყო განახლებული და სრულყოფილად არ ემსახურებოდა დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ იგი ვერ ჩაითვლება დაინტერესებული პირებისთვის, პსდ-ს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ ინფორმირების საშუალებად. ხოლო ინდიკატორი შეფასდე, როგორც ''არ შეესაბამება''. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა აღნიშნულ საკითხს, ვებგვერდზე განაახლა კატალოგთან დაკავშირებით ინფორმაცია და ასევე გამოაგზავნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 3 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დამკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახა ინდიკატორების შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი აქტივობები და ვადები, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს არსებული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა 2021 წლის 6 დეკემბრიდან - 2022 წლის 6 ივნისამდე ვადებში.

ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორები ფასდება, როგორც ''მეტწილ შესაბამისად'', რისი გათვალისწინებითაც, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების სრულად გამოსწორება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

**5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობების თანახმად, დაწესებულებას ჰყავს კატალოგის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ინტერვიუს შედეგად აღნიშნავს რომ კატალოგები ახლდება პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. პასუხისმგებელი პირის არსებობა, ასევე მტკიცდება დაწესებულების რექტორის 2019 წლის 6 თებერვლის #01-02/10 ბრძანებით.

გამომდინარე იქედან, რომ კატალოგი უნდა განახლდეს ყოველწლიურად. რომლის განახლებაც შეიძლება დაემთხვეს ახალი კალენდარული ან სასწავლო წლის დაწყებას, ამ ეტაპზე ვებ-გვერდის ერთ-ერთ ბმულზე განთავსებული კატალოგი თარიღდება 2019 წლით: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11826_1.pdf , ხოლო მეორე: 2020 წლით: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_11186_4.pdf , რის გამოც ეს ინდიკატორი ვერ ჩაითვლება შესრულებულად.

**ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან არ იყო წარმოდგენილი განახლებული კატალოგი არც ბეჭდური სახით, ხოლო ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგები თარიღდება 2019 და 2020 წლებით, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ''არ შეესაბამება'' თუმცა, დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა აღნიშნულ საკითხს, ვებგვერდზე განაახლა კატალოგთან დაკავშირებით ინფორმაცია და ასევე გამოაგზავნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 3 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დამკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახა ინდიკატორების შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი აქტივობები და ვადები, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს არსებული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა 2021 წლის 6 დეკემბრიდან - 2022 წლის 6 ივნისამდე ვადებში.**

**ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი ფასდება, როგორც ''მეტწილ შესაბამისად'', რისი გათვალისწინებითაც, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების სრულად გამოსწორება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 8 სექტემბრის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით N 02-06/410 დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობით, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციები; კერძოდ სამსახურის მთავარი სპეციალისტისა და სპეციალისტების მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა.

თუმცა აღნიშნული სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებთან ერთად, ინდიკატორის ფარგლებში, დოკუმენტში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ვერ ხდება იმის შეფასება თუ რამდენად იყენებს დაწესებულება საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციასა და ინფორმაციის შემოწმების ანალიზის შედეგებს. აღნიშნულის გარდა, დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვერ მოხდა დამატებით სხვა დოკუმენტაციის ან არსებული წესის გადამოწმება, რომლის ფარგლებშიც რეგულირდება დაწესებულებაში დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებისა და მიღებული შედეგების გამოყენების მიდგომები/მექანიზმები.

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, არ იკვეთებოდა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებისა და დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამ უკუკავშირის შედეგების შემდგომი გამოყენების მექანიზმები. არ ჩანდა ფაქტორები, თუ როგორ ახდენდა დაწესებულება დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღებას და მის გამოყენებას. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ინდიკატორი, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც ''არ შეესაბამება''. რადგან ამ საკითხთან მიმართებით არ იყო შემუშავებული შესაბამისობის გეგმა და დაწესებულების მხრიდან არ იყო გათვალისწინებული გარკვეული საკითხები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტებით (info@bsu.edu.ge, vocational@bsu.edu.ge), რომლებიც მითითებულია ბსუ-ს ვებგვერდზე. სადაც, ასევე მითითებულია ცენტრის დირექტორის და ხარისხის მართვის მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, დაწესებულება იყენებს ასევე Facebook-ისა და Twitter-ის სოციალურ ქსელებს.

ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მოახდინა სტანდარტის ამ ნაწილში არასრული შესაბამისობის იდენტიფიცირება, და გადმოაგზავნა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №01-10/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოცავს განსახორციელებელ აქტივობებსა და შესრულების ვადებს, რაც გულისხმობს არსებული პრობლემური საკითხების აღმოფხვრას 2022 წლის 6 ივნისამდე.

ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორი ფასდება, როგორც ''მეტწილ შესაბამისად'', რისი გათვალისწინებითაც, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების სრულად გამოსწორება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/sub-54/news/index.html
- დაწესებულების სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/BSUBatumi/
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 8 სექტემბრის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N 02-06/410 ‘‘საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ
- 2020 წლის 20 თებერვლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება #01-10/22 ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შესახებ
- 2017 წლის 14 ივნისის, ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით N 01-11/47 - ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ’’
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის №01-10/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა,

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებაღეობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | 25.10.2019 N01-02/168 / 05.06.2020 N01-02/54 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი ლეონიძის ქ. #15 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული პროგრამის ''მებაღეობის'' განხორციელების ფარგლებში შემოწმდა პროგრამის A და B გარემო. A გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #204, რომელიც გათვალისწინებულია 20 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ხოლო პროგრამის B გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორია #201, რომელიც აღჭურვილია ასევე 20 სტუდენტსა და მასწავლებელზე გათვლილი, პერსონალური კომპიუტერებით, დაფით, ერთი პროექტორითა და პრინტერით. გამომდინარე იქედან რომ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტების ზღვრული როდენობა არის 40, გასაუბრებისას დაწესებულებამ განმარტა რომ საჭიროების შემთხვევაში მოახდენს სტუდენტთა სასწავლო გრაფიკების ისე განაწილებას რომ არსებული რესურსი საკმარისი იყოს ყველა სტუდენტისთვის და საჭიროების შემთხვევაში ასევე უზრუნველყოფს მათთვის სწავლის შესაძლებლობას ორ ცვლაში, რაც ასევე რეგულირდება ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის' მე-8 მუხილის, მე-4 პუნქტის ფარგლებში, სადაც აღნიშნულია შემდეგი: საჭიროების შემთხვევაში: 4. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორცილდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით.

საერთო ჯამში დაწესებულებას აქვს 3 B გარემო, რომელიც პროგრამების გათვალისწინებით სრულად არის საკმარისი, სული დატვირთვის შემთხვევაში, ყველა პროფესიული სტუდენტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება სწავლებისთვის საჭირო C გარემოს, ამასთან დაკავშირებით, სასწავლებელსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს შორის 2020 წლის 10 ივლისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

გათვალისწინებით. პრაქტიკის პროგრამის ''მებაღეობა'' ფარგლებში ობიექტები უზრუნველყოფენ 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

შემოწმების ფარგლებში, ექსპერტთა მიერ ასევე დათვალიერდა მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები (სასწავლებელის მფლობელობაში არსებული); პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შედარდა სასწავლებლის მფლობელობაში არსებულ მატერიალურ რესურსთან, რაც სრულ შესაბამისობაშია.

რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, აქ შემოწმების ფარგლებში არ განხორციელებულა ვიზიტი, თუმცა არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულების მფლობელობაში და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა შეესაბამება პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალს და იძლევა კვოტით მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილი აქვს დაწესებულებას, ხოლო უმეტესი ნაწილი პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტს, რომლის ჩამონათვალიც ასევე თან ერთვის მათ შორის გაფორმებულ მეომრანდუმს დანართის სახით.

გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებაში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 2020 წლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა“ დანართი 2-ში ‘’პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი’’, მოცემულია ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ. რომლის თანახმადაც, პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 25 პროფესიული მასწავლებელი, აქედან ზოგადი მოდულებისთვის: 10 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო დარგობრივი მოდულებისთვის: 15. პროგრამის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე და პროგრამის ფარგლებში 11 მოდულის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.

ვიზიტისას ასევე შესწავლილ იქნა პროგრამის განხორცილებელის გრაფიკი, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა. აღსანიშნავია რომ მათი ადმინისტრაციული დატვირთვა არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმას., შესაბამისად მათი ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

გამომდინარე აქედან, არსებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა აზრით, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის 21 ნოემბრის ბრძანების: № 01-08/169 (ცვლილება: 2019 წლის 15 თებერვლის ბრძანება N01-02/15) ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'', მიხედვით სასწავლებლის მიერ პროფესიული მასწავლებლების შერჩევა ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ცენტრის მიერ ერთობლივად კანდიდატების კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ხოლო თუკი ამ წესით ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, შემდგომ მასწავლებელთა შესარჩევად ცხადდება ღია კონკურსი.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების გაცნობა და ასევე მათთან გასაუბრება მათი კვალიფიკაციას და გამოცდილების შესაფასებლად. მასწავლებლების უმეტეს ნაწილს აქვს მაღალი კვალიფიკაცია, როგორც განათლების, აგრეთვე მუშაობის გამოცდილების მხრივ. მათი უმეტესობა ეწევა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას.

ექსპერტთა აზრით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ პირადი საქმეებში დაცული დოკუმენტებით და გასაუბრების შედეგებით. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ პროგრამას ''მებაღეობა'' ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. ვიზიტის დროს მოხდა ზუმ შეხვედრის ორგანიზება და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება, როგორც მათი ფუნქციების შესახებ, აგრეთვე პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის განხორციელების შესახებ. გასაუბრების შედეგად გაირკვა პროგრამის ხელმძღვანელები ასრულებენ მათზე დაკისრებულ სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ფარგლებშიც გასაუბრება შეხეო პროგრამის განხორცილებისა და მოდულების თანმიმდევრობის საკითხებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის ფარგლებში, ირკვევა რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას.

აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში, დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პროგრამის ''მებაღეობა'' სასწავლო რესურსის გადამოწმება, რომელიც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისას სწავლის შედეგების მისაღწევად. შემოწმდა ბიბლიოთეკა, სადაც გამოყოფილია 4 სამუშაო კომპიუტერი პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სტუდენტებისთვის, რომლებშიც ჩატვირთულია საჭირო საგანმანათლებლო რესურსები. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულებაში არსებულ ბიბლიოთეკაში. ყველა მათგანი არის ელექტრონული სახით, ხოლო ზოგიერთი რესურსი წარმოდგენილია ასევე მატერიალურად. სასწავლო რესურსის ნაწილი მოძიებულ იქნა ელექრონულ კატალოგში koha, http://library.bsu.edu.ge/, სადაც გაციფრულებული სასწავლო რესურსია.

ელექტრონული სახელმძღვანელოები კი ხელმისაწვდომია ელექტონული ბიბლიოთეკაში https://biblio.bsu.edu.ge/. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში პროგრამის ''მებარეობა'' განხორციელებისთვის საჭირო ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. არსებული სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად, ასევე ასახულია დაწესებულების ვებგვერდზე: http://library.bsu.edu.ge/; https://biblio.bsu.edu.ge/

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ამ ეტაპზე, დაწესებულებას არ ჰქონია რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა ამასთან დაკავშირებით, აქვთ შემუშავებული მექანიზმი/რეგულაცია, რომელიც არეგულირებს საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მომსახურეობასთან დაკავშირებით რესურსების ადაპტირებასა და ხელმისაწვდომობას. საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მე-9 მუხლში '' სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები''-ს შესახებ, მოცემულია პუნქტები, რომლებიც არეგულირებს სსსმ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

პირებისთვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომას, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

რეგულაციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს/საგანს, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგნის მოთხოვნებთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ასევე დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით, უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას.

სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება განხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასევე სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერისა და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებაში საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ‘‘მებაღეობა’’ განხორციელების მდგრადობა’. წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა ხარჯებს, პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. ბიუჯეტში ასახული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს: საოპერაციო ხარჯებს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, პროგრამის განვითარების ხარჯებს.

აქედან გამომდინარე, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 26 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი
- დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები
- პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებები;
- დატვირთვის ცხილები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

- 2018 წლის 21 ნოემბრის ბრძანება № 01-08/169 ( ცვლილება: ბრძანება N01-02/15) ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 2020 წლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა" დანართი 2-ში ''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი''
- სასწავლო აუდიტორიებისთვის შეძენილი საქონლის დოკუმენტაციით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- პროფესიული პროგრამის ''მებაღეობა'' განხორცილებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაციით.
- მატერიალური რესურსის ჩამონათვალით, რომელიც ირიცხება პრაქტიკის ობიექტის განმახროციელებელი დაწესებულების ბალანსზე.
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''მებაღეობა" სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა/გეგმები. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისათვის.

დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და გასაუბრების საფუძველზე, ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დამაკმაყოფილებელია.

პროგრამის ''მებაღეობა'' ფარგლებში დაწესებულების მიერ პროგრამის სასწავლო გეგმა აწყობილია დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, თუმცა გასათვალისწინებელია სეზონური ფაქტორი მოდულების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა მოახდინონ მოდულების განხორცილების თანმიმდევრობის დაცვა სეზონურობის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელთან სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომელმაც აღნიშნა რომ პანდემიის გამო სასწავლო დაწესებულებებს ხშირად უწევთ სასწავლო პროცესის ცვლილება, მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე, პრაქტიკულ ნაწილს ღია სივრცეში, რაც საშუალებას იძლევა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მოქნილად მოხდეს პროგრამის გადაწყობა.

დაწესებულება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, ასევე იყენებს ლიცენზირებულ ონლაინ პლატფორმას „ZOOM"-ს დისტანციური/ონლაინ სწავლებისთვის. პროფესიულ სტუდენტთათვის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებამ ასევე პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია ტექნიკური მხარდაჭერასთან დაკავშირებით,მათ შორის ცენტრის აუდიტორიებითა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესახებ, რაც დასტურდება გასაუბრების ფარგლებში მიღებული ინფორმაციიდან, თუმცა აღნიშნული შეთავაზებით არცერთ სტუდენტს არ უსარგებლია.

''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის შესაბამისი გარემოს შექმნასა და სწავლისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას, როგორიცაა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვა, ინდგეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლში, აღნიშნულია რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობების, საწარმოო პრაქტიკის დაწყების/დასრულების და კვალიფიკაციის მინიჭების თარიღები. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი მეცადინეობების სასწავლო ცხრილების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და ამტკიცებს ცენტრის დირექტორი. ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე თავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობები ტარდება ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი, როგორც სასწავლო დღე. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორცილდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფიკით

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული პროგრამის ''მებაღობა'' სტანდარტში გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება მოხდა ზუმის ფორმატში პროგრამის ხელმძღვანელებთან, საუბრისას გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ არსებულ რეკომენდაციებს და მისდევენ მათ, იყენებენ იმ სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლების კომპეტენცია, რაც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ნამდვილად აქვს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს.

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანებით N 01-02/11 ‘’ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ’’, პროგრამას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს.

სასწავლო პროცესის რეგულაციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში მოხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, რომლის ფარგლებშიც სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგნის მოთხოვნებთან მიმართებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების და სხვა რესურსის საჭიროებების შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგნეს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლება გასაუბრებისას აღნიშნეს, ‘’მებაღეობის’’ პროგრამაზე აქამდე არ ყოფილა ინდგეგმის შემუშავების საჭიროება და ამით არ უსარგებლია არც ერთ სტუდენტს. ასევე არც ახლა ფიქსირდება პროგრამაზე სსსმ სტატუსით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების შემუშავებას, აგრეთვე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომას. ასევე, ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა ის შემთხვევა (მობილობა, სტატუს შეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ექსპერტთა აზრით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პდს-ს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან, ‘’სსიპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან’’ და ‘’სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოსტან’’. მემორანდუმის ფარგლებში გაწერილია პროგრამის რომელი მოდულის ფარგლებში უნდა განხორციელდეს პროგრამის პრაქტიკული ნაწილი, პრაქტიკის ობიექტი პასუხისმგებლობას იღებს აგრეთვე პრაქტიკული ნაწილის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფაზე, რაც ასევე დასტურდება მემორანდუმზე თანდართული დოკუმენტაციის ფარგლებშიც. მემორანდუმში გაწერილია თანამშრომლობის მიზანი, პროფესიულ სტუდენტთა ერთდროულად მიღების ზღვრული რაოდენობაც. მემორანდუმები გაფორმებულია პროგრამის გახორციელების ვადით. მემორანდუმებით, განსაზღვრულია ასევე პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ასევე ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილეა, რომელთან გასუბრებითაც გაირკვა, რომ პარტნიორ ორგანიზაციასთან პრაქტიკის ობიექტზე ხშირ შემთხვევაში ის აორგანიზებს პრაქტიკულ სწავლების განხორცილებას. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, მონიტორინგისა და შეფასების წესი გაწერილია ასევე 2019 წლის 8 თებერვლის რექტორის ბრძანებით #01-01/12 ‘’ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორცილების წესის შესახებ’’.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

ინდიკატორის ფარგლებში, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

გამომდინარე იქედან რომ, პრაქტიკული ნაწილი ძირითადად ხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე და არა დაწესებულების შენობაში, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''მებაღეობა'' განხორციელებისთვის განსაკუთრებული უსაფრთხოების მოთხოვნები არ არის დადგენილი. სასწავლო გარემოზე ვრცელდება სტანდარტული საოფისე საქმიანობის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესები, რასაც არეგულირებს ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების შიდა დოკუმენტი.

შესაბამისად, აღნიშნული პროგრამისთვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა სრულიად საკმარისია და ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ზოჭოიძე/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''მებაღეობა"
- 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანება N 01-02/11 ბსუ-ს ''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ''
- 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება N 01-02/19 სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ
- 2020 წლის 10 ივლისს ''ბოტანიკურ ბაღთან'' და ''სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოსთან'' გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები
- 2019 წლის 8 თებერვლის რექტორის ბრძანება #01-01/12 '' ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორცილების წესის შესახებ''
- ინტერვიუირების შედეგები

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც დარეგულირებულია შეფასების ინსტრუმენტის მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, განმეორებითი შეფასებისა და და პროფესიული სტუდენტის ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის შემდგომი ნაბიჯები და სხვა.

დაწესებულების რეგულაციის ფარგლებში შემუშავებული, შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს. სასწავლებლის მიერ განსაზღვრულია ვერიფიკაციის სქემა (დანართი #3-ის სახით), რომელიც წარმოადგენს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ფორმას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და ვერიფიკაციის მექანიზმები. მუხლის ფარგლებში, დადგენილია, რომ შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია შემდეგი სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 09 ივნისის N01-02/56 ბრძანებით). წესში ასევე აღნიშნულია ინფორმაცია პროცესზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის ფარგლებში აღნიშნულია, რომ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. ექსპერტთა მოსაზრებით, რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას თუ საიდან იწყება ამ ვადის ათვლა. რაც შეეხება, შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ფორმას, ამასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ფარგლებში, ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N 01-02/11 ბრძანების (დანართი 1) ფორმა N 1 (ცვლილება 2020 წლის 19 თებერვლის ბრძანება N01-02/22), განსაზღვრულია, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების შემაჯამებელი ფორმა, რომელიც შეთანხმებულია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან. დანართი N 1-ის, ფორმა N1 (1)-ის საშუალებით სტუდენტები ეცნობიან მათი ინდივიდუალური შედეგების შესახებ არსებულ შეფასებას და თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლში ''შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვერიფიკაცია'' (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/22 ბრძანებით), აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. ასევე შეფასების ინსტრუმენტი (ფორმა რომელიც წარმოდგენილია დანართი 1-ის სახით) უნდა მოიცავდეს წესის ფარგლებით დადგენილ ინფორმაციას. დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, ფორმა მოიცავს ინფორმაციას პროფესიული პროგრამის სახელწოდების, მოდულის სახელწოდებისა და სარეგისტრაციო ნომრის, სწავლის შედეგის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თარიღის/თვის/წელის, მოდულის განმახორციელებლის, პროფესიული განათლების მასწავლებელის, პროფესიული სტუდენტის სახელის, გვარის, შეფასების ჩატარების ადგილისა და შეფასების ჩატარების თარიღის შესახებ.

თუმცა რეგულაციის ფარგლებში არ იკვეთება სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

მარეგულირებელი წესის ფარგლებში, ასევე განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრის დირექტორს შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) შესახებ, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე. კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხს და შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. თუმცა, ამ მუხლის ფარგლებში, არ არის დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში ან რატომ არ განიხილავს კომისია შეფასების საკითხს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, სხვა შემთხვევაში, განმეორებით/დამატებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის მიუღწევლობად. ცენტრის დირექტორი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.

განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეცვალოს სწავლის შედეგის დადასტურების თემატიკა/ტესტი/საკითხები. ამასთან დაკავშირებით, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის, მე-5 მუხლის, მე-6 პუნქტით განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით). მარეგულირებელი წესის მიხედვით მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა.

შეფასების სისტემის ვალიდურობასა და შეფასების ინსტრუმენტის პროექტთან დაკავშირებით, მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლი ადგენს შეფასების ინსტრუმენტის მიმართ არსებული მოთხოვნებს. შედგენასა და შემოწმებაზე პასუხისმგებელ პირებსა და მათ მოვალეობებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ ნ. ხ. /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

თუმცა, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული მუხლის სხვადასხვა პუნქტებში არასწორად არის აღნიშნული ტერმინი „ვერიფიკაცია", მაშინ როდესაც ნაგულისხმევია „ვალიდაცია", რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა აზრით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია, რომელიც მოიცავს პროგრამების შეფასებას, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადებსა და რაოდენობას, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურასა და ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნებს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებსა და აპელაციის წესს.

თუმცა რეგულაციით არ არის დაზუსტებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია და ვერიფიკაციის მექანიზმში წარმოდგენილი რიგი პუნქტები საჭიროებს დაზუსტებას/დამატებას. მაგალითისთვის, რეგულაციით დაწესებულებას არ აქვს დადგენილი ვადები თუ როდის ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს, არ იკვეთება ინფორმაცია, არის თუ არა მისი განხორციელება დაგეგმილი პროგრამის დასრულების შემდგომ თუ სხვა ეტაპზე. ასევე, მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის სხვადასხვა პუნქტებში არასწორად არის აღნიშნული ტერმინი „ვერიფიკაცია", მაშინ როდესაც ნაგულისხმევია „ვალიდაცია". გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს აღნიშნული უზუსტობის გამოსწორება.

გარდა ამისა, რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტის ინფორმაციის შეფასების თაობაზე მიეწოდების საკითხი, რომლის საფუძველზეც იგი შეფასების შესახებ ინფორმაციას იღებს მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას თუ საიდან იწყება ამ ვადის ათვლა. რეგულაციის ფარგლებში არ იკვეთება სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

მარეგულირებელ წესში, აპელაციასთან და განმეორებითი შეფასების დანიშვნასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასების შედეგები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე. თუმცა, ამ მუხლის ფარგლებში, არ არის აღნიშნული ინფორმაცია იმის შესახებ თუ  რა შემთხვევაში ან რატომ არ განიხილავს კომისია შეფასების საკითხს, რაც ასევე რეკომენდირებულია რომ დაზუსტდეს და გაიწეროს რეგულაციით.

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ 2019 წლის 8 თებერვლის # 01-02/11  ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ვერიფიკაციის პროცესის სქემა, რაც დასტურდება ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების საფუძველზე (დანართი 1) (დამატება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/22 ბრძანება (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 09 ივნისის N01-02/56 ბრძანება).

სასწავლებლის მიერ განსაზღვრულია ვერიფიკაციის სქემა (დანართი #3-ის სახით), რომელიც წარმოადგენს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ფორმას. ასევე, შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული დასტურდება ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ 2019 წლის 8 თებერვლის # 01-02/11 ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ ბსუ-ს.

გარდა ამისა, არსებობს, რექტორის მერაბ ხალვაშის 2021 წლის 21 ოქტომბრის #01-02/186 ბრძანება, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის თაობაზე. თუმცა, დოკუმენტით არ არის განსაზღვრული პროცესის დაწყებისა და დასრულებს ვადები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და ვერიფიკაციის მექანიზმები. მუხლის ფარგლებში, დადგენილია, რომ შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია შემდეგი სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 09 ივნისის N01-02/56 ბრძანებით). წესში ასევე აღნიშნულია ინფორმაცია პროცესზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

გამომდინარე იქედან რომ, პროგრამა ‘’მებაღეობა’’ სრულდება 2022 წელს, შესაძლებელია ვერიფიკაცია განხორციელდეს პროგრამის დასრულების შემდგომ, თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული არ არის ვერიფიკაციის ჩატარების ვადები. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის მექანიზმში დაზუსტებასთან დაკავშირებით.

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანების N 01-02/11 ბსუ-ს ‘’პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ’’ (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/22 ბრძანებით) , მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებების შენახვის პირობები. ა) ტესტი, წერითი ნაშრომი, შექმნილი პროდუქტი, დაკვირვების ჩანაწერი, ფოტო სურათები, ვიდეო ჩანაწერი, პრაქტიკის დღიური, პორტფოლიო, შევსებული შეფასების სქემა (Checklist), წერილობითი ანგარიშები და შეფასების სხვა მტკიცებულებები - ცენტრში, სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ კი ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free
ცენტრში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად 25 წლის ვადით შენახვის მიზნით).

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-17 მუხლის ფარგლებში ასევე, დადგენილია სასწავლო პროცესის დროს შექმნილი, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის წესი, რომლის მიხედვითაც, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტები (პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა/ პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე / პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა/ პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ამ მუხლის მოთხოვნები ეხება სასწავლო პროცესის ფარგლებში, განმავითარებელი შეფასებებისთვის შექმნილ მტკიცებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ინდიკატორის შეფასების ფარგლებში, უნდა აღინიშნოს რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს აქვს დარგობრივი ცოდნა/გამოცდილება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლით ირკვევა, რომ შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

მარეგულირებელი წესის ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება შემდეგი ორის სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. ა) განმავითარებელი შეფასება - მოდულის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებლი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს; ბ) განმსაზღვრელი შეფასება - ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა ან ვერ დადასტურდა.

დაწესებულების, 2019 წლის, 6 თებერვლის დადგენილებით №06-01/07 ‘’ზსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ’’ აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროგრამის მოდულებს თან ახლავს დამხმარე ჩანაწერები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის (შეფასების მეთოდოლოგია/მეთოდები) და შეფასების მიმართულებებისა და ინსტრუმენტების სქემა.

2019 წლის 29 ნოემბრის ბრძანების, # 01-02/198 ‘’ზსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ’’, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მე-8 მუხლის თანახმად პროფესიული სტუდენტებისთვის, შემუშავებული აქვს, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების შეფასების ფორმა, რომლებიც ასევე განთავსებულია ვებვერდზე: https://docs.google.com/forms/d/e/ . გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, პროფესიული მასწავლებლებისთვის შემუშავებული აქვს კითხვარი საგანმანათლებლო მოდულის შეფასების შესახებ. მოდულური სწავლების მონიტორინგის და მხარდაჭერის ფარგლებში პრობლემის იდენტიფიცირების, სწავლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/

PDF Eraser Free

სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას, როგორც მათი ასევე პროგრამების განვითარების კუთხითაც. თუმცა, ამ ეტაპზე, არ იკვეთება კონკრეტულად ამ კუთხით, განხორციელებული ცვლილებები. მაგალითად, მოდულების რიგითობის, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტის თუ სხვა საკითხის ცვლილების შესახებ.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია ინფორმაცია შესრულების მტკიცებულების შესახებ, რაც გულისხობს: 1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით დადასტურებას.“ ხოლო, ამასთან დაკავშირებით, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის #01-02/187 ბრძანების ‘’ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ’’, დანართი #1-ით განსაზღვრული ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის , მუხლი 2, პუნქტი 6-ის თანახმად, აღნისნულია შემდეგი: ‘’ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობების აქტივობები და შეფასებები უნდა განხორციელდეს ელექტრონული პორტალის (portal.bsu.edu.ge) ელ. სწავლების პლატფორმის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (spm.bsu.edu.ge) და პლატფორმის Moodle-ს მეშვეობით, ცხრილით მითითებულ დროს.

განხილული დოკუმენტაციიდან და გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, ინდიკატორის ფარგლებში ირკვევა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას, პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლას მათი შემდგომი განვითარებისა და პროგრამის განვითარების მიზნით. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჯოიძე/

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 8 თებერვლის ბრძანებით N 01-02/11 08 '' ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- 2019 წლის 6 თებერვლის დადგენილება №06-01/07 ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ
- 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება # 01-02/186 ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ
- 2019 წლის 29 ნოემბრის ბრძანება # 01-02/198 ''ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ''
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**XIV. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

**თარიღი: 13.12.2021**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ნინო ხარხელაური/ /ინგა ბოჭოიძე/